თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 25 მაისი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	-ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	-ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ვასილ მეზურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	-ქ ქუთაისის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

სხდომა გაიმართა ქ. ქუთაისის მერიის სხდომათა დარბაზში (მე–4 სართული, ოთახი №401)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : ქ. ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლის დემონტაჟი–გადატანა–მონტაჟი–რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნის კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განაცხადი №69 17.05.2011 წელი), კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა,მშენებლობა"–მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა,მშენებლობა"–მ წარმოადგინა საკონკურსო წინადადების ფასი – 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარი.

აღინიშნა რომ, კონკურსანტი ქ. ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლის დემონტაჟი–გადატანა–მონტაჟი–რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნის კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის ითხოვს 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარს, ხოლო შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნული

მომსახურებისათვის გათვალისწინებული აქვს 5000 (ხუთიათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – კოტე რატიანმა.

კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ, ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ .

დაადგინეს:

1. ვინაიდან შ.პ.ს „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა,მშენებლობა"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკურსის შესახებ განცხადებაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, ამიტომ აღნიშნული საკონკურსო წინადადება არ ექვემდებარება განხილვას.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობოს შ.პ.ს „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა,მშენებლობა"–ს.
3. აღნიშნული საკონკურსო განცხადება გამოქვეყნებული იქნეს განმეორებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე